შაბათი, 26 ოქტომბერი 1896 წ. № 7 შაბათი, 26 ოქტომბერი 1896 წ.

რედაქცია: ფრეილინის ქუჩა, № 13. ტფილისი

ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 1 „ საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა კითხ. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან. თითო ნომერი 3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.

ადრესი Тифлисъ, Фрейлинская № 13 Редакція „Цнобисъ Пурцели".

## გაზეთის ფასი ამ წლის დამლევამდე ერთი მანეთი

## „ცნობის ფურცელი"

გამოდის ყოველ-დღე, კვირა-უქმეების შემდეგაც

**გაზეთის ფასი:** ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.

სხვა ვადით გაზეთის დაკვეთა არ შეიძლება.

თითო ნომერი ღირს ყველგან 3 კაპ.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ. მეოთხეზედ 5 კაპ.

იმ ხელის მომწერთა, რომელთაც წლიური ფასის ერთბაშად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მანეთი წარმოადგინონ და მერმე ყოველ თვე-და-თვე თითო მანეთი, ვიდრე 6 მანეთს შეასრულებდნენ.

სოფლის მასწავლებლებს გაზეთი წლიურად 5 მანეთად დაეთმობათ.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, Фрейлинская, № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели".

## რედაქციისაგან

„ცნობის ფურცლის" 1, 2, 3 და 4 №№-ები, დასტამბული 1200 ეგზემპლიარად, უკვე დაურიგდა ხელის მომწერთ. ახალი ხელის მომწერნი გაზეთს მიიღებენ მხოლოდ მე 5 № დან.

გაზეთის დამტარებელთა გამოუცდელობით ქალაქის ხელის-მომწერებს გაზეთი დროზედ ვერ მისდით; რედაქცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ ეს ნაკლი თავიდან მოიშოროს.

კანათის ეკკლესიის ამშენებელი კომიტეტი ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ წლის 3-ს ნოემბერს მოხსენებული ეკკლესიის აშენება იჯარით გაიცემა ქ. ცხინვალში ადგილობრივის ბლაღოჩინის სადგომში დილის 10 საათზედ. მსურველთ შეუძლიანთ იქვე ნახონ ამ საქმის შესახები საბუთები და პირობები.

კამიტეტის თავ-მჯდომარე ბლაღოჩინი მღ. იოანე კაპანაძე.

(3—ფ.)

## კაბინეტი კბილის ექიმისა
### ვ. ი. ჟივინაძისა

ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, 21, ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

## დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა".

(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან").

24 ოქტომბერი.

**კრონშტადტი.** ნავიები გაიყინა. ყინვა 4-°.

**პარიზი.** 23 ოქტომბერს დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე და ჰერცოგი ევგენი მაქსიმელიანისძე ლეიხტენბერგსკი იყვნენ ვიზიტად რესპუბლიკის პრეზიდენტთან, რომელმაც სამაგიერო ვიზიტი გადუხადა ორთავეს.

**ბერლინი.** გაგზავნილნი ლეიპციგის სამისიონერო საზოგადოებისაგან მისიონერები კარლ ზეგებროკი და ევალდ ოვირი, ორივე რუსეთის ქვეშევრდომნი, 20 ოქტომბერს მოუკლავთ ადგილობრივ მკვიდრთ მერუს კილამანდონაირის თემში. მკვლელების დასასჯელად გაგზავნილია პატარა ჯარი.

**ვენა.** 23 ოქტომბერს სეიმის არჩევანებში თითქმის ყველა ოლქებში და იმ ადგილებშიაც-კი, სადაც ძალა ლიბერალებს ჰქონდათ, არჩეულ იქმნენ ანტისემიტები, მათ შორის ლიუგერ, შტორბახ და ლიხტენშტეინ.

**სტამბოლი.** ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ყველა სახაზინოსთან კომისია იქნება შემდგარი, რომელიც გამოუშვებს ბილეთებს 5 დ 100 პიასტრიანებს. *) მოგროვილი ფული მოხმარდება იარაღების შეძენას, ჯარის ტანთ-საცმელს და სხვა-გვარ მოწყობას ჯარისას. ეს კომისიები იქმნებიან უმთავრესი კომისიის ზედამხედველობის ქვეშ, რომელშიაც თავსმჯდომარედ დანიშნულია მინისტრი საზოგადო მუშაობათა. ვინც შემოიტანს კომისიაში 2,000 პიასტრს ანუ მეტს, მიიღებს მენდალს. ხონთქარს უკვე უყიდნია 2,000 თოფი და კიდევ აპირობს იყიდოს 10,000 თოფი.

*) პიასტრი უდრის 5 კაპეიკს.

## ახალი ამბავი

*** მათს უდიდებულესობას ქვრივს დედოფალს იმპერატრიცას მარიამ თეოდორეს ასულის აბასთუმანში ყოფნის დროს უნებებია თავის ფულებიდან ორასი თუმანის ბოძება იმ ღარიბთათვის, რომელთაც თხოვნით მიუმართავთ მათის უდიდებულესობისათვის.

*** რუსულ გაზეთებში სწერენ, რომ გზათა სამინისტროს გადაუწყვეტია მომავალ წლის სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანოს 150,000 მანათი კავკასიონის რკინის გზის გამოსაკვლევად (ტფილისიდან კავკავამდე). ამ გზის გამოკვლევას შეუდგებიან მომავალ წელსვე ინჟენერი კუდნიცკის პროექტით.

*** ქუთაისში მიუღიათ მთავრობისაგან ქაღალდი, რომელშიაც სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო უარს აცხადებს ქუთაისის საბაღოსნო სკოლის გადაკეთებაზე, რადგან ამ ჟამად სამინისტროს თავისუფალი ფული არა აქვს; ხოლო თუ თვით ქალაქი იკისრებს საჭირო ხარჯს, მაშინ სამინისტროც დაეხმარებაო. ამ ჟამად ქუთაისის გუბერნატორის წინადადებით შესდგა კომისია, რომელსაც დაევალა გამოიკვლიოს ეს საქმე და საჭირო ფულის შოვნის სახსარი აღმოაჩინოს.

*** როგორც ნამდვილ წყაროებიდან გვაცნობებენ ქალაქის ინჟენერი შერვანოვსკი, სამსახურს თავს ანებებს. მიზეზად, სხვათა შორის, ასახელებენ იმ გარემოებას, რომ რადგანაც გამგეობის ტეხნიკებს მცირე ჯამაგირები აქვთ დანიშნული და ამის გამო კერძო საქმეებს ეტანებიან, ამიტომ სამსახურს მუყაითად ვეღარ ეკიდებიან და ქალაქის სამუშავოებს ყურის მგდებელი თითქმის არავინ არა ჰყავსო. ბ-ნი შერვანოვსკი ჰფიქრობს, რომ ამისთანა გარემოებაში ვერც ერთი ინჟენერი, რომელიც თავის სახელისთვისა ზრუნავს, ვერას გააკეთებს ქალაქისათვის სასარგებლოს და ამიტომ ქალაქმა გინდ ათასი თუმანი დამინიშნოს ჯამაგირი, ვერ დავრჩები მის ინჟენერათაო. სწორედ საწყინოა, რომ ტფილისს ძლივ ეღირსა ამისთანა მცოდნე და რიგიანი ინჟენერი და ისიც თავს ანებებს სამსახურს.

*** წელს ქალაქის გამგეობას გადადებული ჰქონდა ათას ხუთას თუმნამდე ნათლუხის საყასბოს გზის გასაკეთებლად, მაგრამ რადგან ეს ფული დასჭირდა სხვა მოულოდნელ ხარჯებისათვის, ამიტომ გზის გაკეთება დროებით გადასდო და საყასბოს გზა დარჩა კვლავ საშინელს მდგომარეობაში. როგორც შევიტყეთ, გამგეობა მერმისის ხარჯთ აღრიცხვით ითხოვდა ამ ფულს, რომ გაზაფხულზედ მაინც გააკეთოს ხსენებული გზა.

*** გუშინ, 25 ოქტომბერს, ქალაქის ხმოსანმა როდმა წინადადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში, რომ გარდასახადი დავაწესოთ ძაღლებზეცო. ამ წინადადებას ახლო ხანში განიხილავს ქალაქის საბჭო.

*** თბილისშიაც დღეს უკვე სამი დღეა რაც ჩრდილოეთის ცივი ქარი ჰქრის. ბევრს ადგილას ქუჩის ფარნები დაამტვრია, ბევრმან მაღაზიის განცხადებები, ვივესკები, ჩამოგლიჯა ვერის ხიდთან სურის ცირკის სახურავი აჰგლიჯა. ამასთანავე ისე აცივდა, რომ ყველამ ზამთრის ტანისამოსს მიატანა

*** ჯარის კაცად გამოსაყვანად კენჭის ყრის დროს ქალაქის სახლში ბევრი უწესობა მომხდარა. იმოდენა

არეული ხალხი საბჭოს დარბაზში შერეკეს და რომ აღარ ეტეოდნენ— ზოგი სკამზედ დგებოდა, ზოგი მეორეს მხარზედ ახტებოდა. გაჯავრებულნი მეკენჭენი სკამებს ამტვრევდნენ და სკამის წნულებსა სჭრიდნენ; ამ გვარად სამი დუჟინი სკამი გაუფუჭებიათ; ელექტრონის ზარის მავთულები დაუწვეტიათ და სხვა ბევრი უწესობა მოუხდენიათ.

*** ბათუმიდგან დეპეშით გვატყობინებენ, რომ სამი დღეა საშინელი ქარი ჰქრის და შავი ზღვა ისე საშინლადა ღელავსო, რომ გემები ნავ-სადგურში ვერ შემოდიან.

*** „კასპიის და შავი ზღვის ნავთის მრეწველობის საზოგადოების“ დირექტორის ადგილი, თ. კ. მელიქიშვილის გარდაცვლის შემდეგ, თავისუფალია. დირექტორს 5000 მანეთამდე ჯამაგირი აქვს, თანამდებობა საპატიოა, ხოლო საქმე-კი ნაკლებად არის, ამიტომ გასაკვირველიც არ არის, რომ ამ ადგილის მაძიებელთა რიცხვი 216-მდეავიდა. კანდიდატებად სხვათა შორის ასახელებენ ჩვენში კარგად ცნობილთ. თ. თ. ნ. ბ. ერისთავს, ივ. გიორ. ბარათაშვილს, დ. ნ. ჭავჭავაძეს, ივ. გ. მაჩაბელს, მაკ. ჭავჭავაძეს და სხვებს.

*** შარშან ქალაქის თვითმმართველობამ დაადგინა ოთხს კატეგორიად დაჰყოს ტფილისის ქუჩები სახლების სიძვირისა და მცხოვრების რაოდენობის კვალადობაზედ და თანხმად ამ კატეგორიებისა დააწესოს ხარჯი სახლის პატრონებზედ, რომელნიც კი აშენების ან რემონტის დროს დაიჭერენ ქუჩას შენობის მასალათა დასაწყობად. პირველ კატეგორიის ქუჩაზედ სახლის პატრონმა უნდა იხადოს თვეში 1 მ. და 50 კ., მეორისაზედ 75 კ., მესამისაზედ 50 კ., ხოლო მეოთხისაზედ 20 კ. ამ ხარჯის შემოსავალი წინა წლებში, როდესაც უფრო მცირე ფასები იყო დანიშნული, ას თუმანზე ვერცკი ადიოდა წელიწადში. შარშან ქალაქის კასამ მიიღო ორას ორმოცდა ათ თუმანზედ მეტი, წელს შემოვა სამასი თუმანი, ხოლო სამერმისოდ გამგეობა ელის ოთხას თუმნამდე თავისს ხარჯთაღრიცხვით.

*** ფოთის ქალაქის მოურავი ბატონი ნ. ი. ნიკოლაძე ამ თვის დამლევს მიემგზავრება პეტერბურგს, რათა უკეთ მოაწყოს და მოაგვაროს იმ სესხის საქმე, რომლის აღების ნებაც მიეცა ქალაქს ფოთს ნავთ-სადგურის გასაკეთებლად და აგრეთვე ამ ნავთ-სადგურის სამუშაოთა იჯარით გასაცემად.

*** მკითხველ საზოგადოებას ეხსომება, რომ შარშან აგუჩალის ქუჩაზედ ყოფილს იაფ ფასიან სასადილოში იმართებოდა ქართულ-რუსული წარმოდგენები. ხალხი მუდამ ბლომად ესწრობოდა და კმაყოფილიც რჩებოდა. სცენის მოყვარენიც ერთგულად და მუყაითად ეკიდებოდნენ საქმეს და არ იშურებდნენ თავიანთს შრომას ამ საქმისთვის. მერე საზოგადოებისგან შემოწირული ფულით სცენა გამართეს, უფრო გაუმჯობესოეს, მაგრამ სამწუხაროდ წარმოდგენების ნება აღარ დართეს. კარგს იზამდა დრამ. საზოგადოება, რომ სცენის მოყვარეთა გუნდს შეიფარვიდეს საფარველსა ქვეშა თვისსა, აღმოუჩენდეს დახმარებას საქმით და არა სიტყვით და გამართავდეს დრო-გამოშვებით სახალხო წარმოდგენებს. საჭიროა მხოლოდ მცირედი გარჯა დრამატიულ კმიტეტის მხრით, მაშინ ნებართვაც ადვილია და წარმოდგენებს ხომ ისინი გამართვენ, ვინც შარშან იყვნენ.

*** არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ერთი არა სასურველი გარემოება, რომელიც ატყდება თავს სოფლის მასწავლებლებს, ისედაც არა სანუკეშო მდგომარეობაში მყოფებს. საქმე იმაშია, რომ ზოგიერთ სოფლის სკოლებში, რომლებიც ჩვენი „წერა-კითხვის საზოგადოების“ და ადგილობრივ მცხოვრებლების ხარჯით ინახება, მასწავლებლები თავიანთ ჯამაგირს დროით ვერ იღებენ. თვით „წერა-კითხვის საზოგადოება“ თავის გარდასახად ნახევარს ჯამაგირს-კი დროით აძლევს მასწავლებლებს, მაგრამ მეორე ნახევრის მისაცემად-კი თითქო არავითარს ღონისძიებას არა ხმარობს. ამ მეორე ნახევარს მასწავლებლის ჯამაგირისას სოფელი იხდის და მომეტებულად თავის მოვალეობას არ ასრულებს; მოხდება ხოლმე, რომ საბრალო მასწავლებლებს თავის, ისედაც მცირე, ჯამაგირის ნახევრის მისაღებად, მთელი ოთხი-ხუთი თვე უნდებათ ლოდნა; ამასთან ხსენებული ფულის მისაღებად ისინი სამაზრო ხაზინებში მიდიან და ამ წასვლა-მოსვლაში, სულ-ცოტა ორ-სამ დღეს ჰკარგავენ. კარგი იქმნებოდა, რომ «წერა კითხვის საზოგადოებამ», ანუ ვისაც ჯერ არს, რაიმე ღონისძიება მიიღოს ამ გარემოების ასაცილებლად.

*** ჩვეე გვწერენ სამტრედიიდან: ყველაფრით კმაყოფილი ვართ აქაურები, ჩვენი სამტრედია აგერ-აგერ დიდ ქალაქებს შეედრება. ყველაფერი გვაქვს: ეკლესიები, თეატრი, ბიბლიოთეკები, აფთეკები და ხხვ. მალე კლუბის დაარსებას ვაპირებთ, მხოლოდ უექიმობით ხალხი წუხდება. ამ ერთის წლის წინათ ექიმი გვყავდა და ძალიან მადლიერი იყო აქაურის პრაქტიკისა, მაგრამ ის გადაიყვანეს, მის მაგიერი აღარ დაგვინიშნეს. ჩვენ ის გვიკვირს, ზოგიერთ ქალაქებში იმდენი ექიმი სცხოვრობს, რომ თვითონ თუ გახდება ავათ და თავის თავს თუ გამოუწერს წამალს, თუ არა სხვა საექიმო არავინა ჰყავთ და აქ კი ასე ძალიან გვჭირია და არავინ გამოგვიჩნდა.

*** ჩვენ გვატყობინებენ დუშეთიდამ შემდევს; აი მესამე თვეა რაც აქ ქალაქის გამგეობა დაარსდა და აქნობამდე არავითარი ნიშან-წყალი არ მოსცხო დუშეთს. მართალია, დეპუტატები სხდომას მალ-მალ მართვენ, მაგრამ საქმე კი არა სჩანს-რა.

ერთი სიტყვით, დუშეთი როგორიც გინახავთ, ისევ ისეთია. დღისით ტალახიანი ქუჩები აჭრებენ საქმეს, ღამე კიდევ უფარნობა: საკმარისია პატარა წვიმა წამოვიდეს, რო ზოგიერთ ქუჩებზედ შეუძლებელ გახდეს სიარული. საკმარისია ბნელიანი ღამე დადგეს, რო, სიბნელის გამო, კაცი გარეთ ვეღარ გამოვიდეს.

დიახ დუშელებთ თვით-მმართველობის დიდი იმედი ჰქონდათ და... თითქმის მოსტყუვდნენ.

ამბობენ, ვითომ თვით-მმართველობას ჰსურდეს ახალი გარდასახადი შემოიღოს სასეირნო ბაღის გასაშენებლად... მაგას იმასაც უმატებენ, ვითომ ახლო მომავალში ქალაქის თვით-მართველობა შეუდგება სავაჭრო ადგილის გამართვას, სხვა და სხვა ქალაქიდამ ჩამოსულ სტუმრებისათვისო... და კიდევ რას არ ამბობენ,

*** იქიდამვე გვწერენ: დუშეთის ახალგაზდობა უკვე შესდგომია სათეატრო დასის შედგენას სცენის მოყვარეთაგან და ნოემბრიდამ აპირობენ წარმოდგენების მართვას.

ვლადიმერ დათიაშვილის თაოსნობით არსდება აგრეთვე სახალხო სამკითხველო, აქაური საზოგადოება თანაგრძნობით ეგებება მის საქმის განხორციელებას და იმედიც აქვთ, რომ თბილისის წიგნთ-გამომცემელი ამხანაგობა და სხვანი ხელს გაუმართვენ წიგნების და გამოცემათა შეწირვით.

*** დღეს, 23 ოქტომბერს, პრინცი კონსტანტინე ოლდენბურგელი გამოეთხოვა ქუთაისს დ თავისის ოჯახობით სამზღვარ გარეთ გაემგზავრა. დიდ-ძალმა ხალხმა პატივი სცა მის უმაღლესობას, ზოგი რკინის გზის სადგურზედ დახვდა, და ბევრმა რიონამდისა და ბათუმამდინ გააცილა კიდეც.

*** ქუთაისიდან გვწერენ, რომ 20 ამ თვისას ქ., ქუთაისის ინტელიგენცკას სხდომა ჰქონდა ქართულ გაზეთის დაარსების შესახებ. რედაქტორად ამოირჩიეს თავადი პავლე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი. გაზეთი მონათლეს და უწოდეს „შრომა“. თუმანიშვილი გამოემგზავრება კიდეც ამ საქმისათვის ტფილისს.

*** იბეჭდება კილაძისა და ხელაძის სტამბაში და მალე გამოვა მამია გურიელის თხზულებები, ავტორის სურათით. გამოცემა ქუთაისის ამხანაგობისაა სურათი ლეიპტიგშია ამოჭრილი.

*** თავ. ანდრონიკაშვილების მამულში, ბორჩალოს ახლო, 14 ათას დესიატ. მანძილზედ აღმოაჩინეს ნავთი. თავ. ანდრონიკაშვილების ვექილი პირობით შეეკრა, ქუთაისში 21 ოქტომბერს, პრინც ოლდენბურგისსა. ამ პირობის ძალით ექვსი თვის განმავლობაში ყოველივე მაშინები, საქმის საწარმოებელი მასალა უნდა დამზადდეს, ჭები უნდა ამოითხაროს და თუ ამ მამულში ყოველ დღე არა ნაკლებ ერთი მილიონი ფუთისა ამოვიდა, მაშინ მამულის პატრონებს მიეცემათ 150.000 მანათი წინ-და-წინ და ყოველ წელიწადს, 25 წლის განმავლობაში, 25% საერთო შემოსავლისა. თუ პატრონები მოინდომებენ ამ 25% ნავთით მიიღებენ, თუ არა და მიეცემათ ყოველ ფუთში ფული ბირჟის ფასობაზედ.

*** ესლახან დაბოლოვდა ფინანსთა სამინისტროში თათბირი, რომელსაც საგნად ჰქონდა გადასინჯვა რკინის გზის ტარიფისა პურეულობის გადატან-გადმოტანისა. თათბირს დაესწრნენ მეურნეთა და სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები. ამ თათბირზედ, სხვათა შორის, აღძრულ იყო ლაპარაკი იმაზედ, რომ შეცვლილ უნდა იქმნას 1893 წ. შემოღებული ტარიფი, რომლითაც ფქვილისა და ხორბლის გადასატანი ფასი ერთი და იგივე დაინიშნა. ამ ტარიფის წყალობით ბევრგან ახალი წისქვილები დაატრიალეს და ამნაირად ახალი მრეწველობა გაჩნდა. ესლანდელს თათბირზედ ზოგი იმ აზრისა იყო, რომ ფქვილის გადასატანი ფასი უნდა გადიდდეს და ფქვილის გაგზავნა გაძნელდეს. თავ. შერბატოვი ამტკიცებდა, რომ ფქვილისა და ხორბლისათვის სხვა-და-სხვა ტარიფი იმისათვის უნდა დაინიშნოსო, რომ რუსეთის სხვა-და-სხვა მოშორებულ ადგილებიდგან, მაგალითად კავკასიიდგან, მოტანილმა ფქვილმა მოსკოვსა და პეტერბურგში ცილობა (კონკურენცია) არ გაუწიოსო რუსეთის შუა გუბერნიებიდან მოტანილს ფქვილსო. ამ აზრისანი იყვნენ 33 წევრი თათბირისა, ხოლო წინააღმდეგნი 34 პირი. ესენი ამბობდნენ: ეხლა რომ ფქვილის გადასატანი ფასი გავადიდოთო, ამით ხელს შევუშლით იმ ეკონომიურს წარმატებას, რომელიც 1893 წ. ტარიფის შემწეობით დაიწყოვო და ტყუილ-უბრალოდ დაიღუპება ის დიდძალი ფული, რომელიც ამ სამის წლის განმავლობაში წისქვილების მოსაწყობად დახარჯეო.

*** 28 ოქტომბერს, ორშაბათს, დანიშნულია კრება ქალაქის საბჭოში. საბჭომ უნდა განიხილოს შემდეგი საქმეები.

1) თხოვნა კიურეგოვისა, რომ ებატიოს მას ნახევარი წლის იჯარა ბოგირისა, რომელიც მუშაობს მტკვარზედ რიყესა და მუხრანის ქუჩათა შუა.

2) მოხსენება გამგეობისა ტფილისში სატეხნიკო სასწავლებლის გახსნის შესახებ.

3) თხოვნა არშაკ თულაევისა, რომ ებატიოს დარჩენილი ფული დაფასების ხარჯისა.

4) საჩივარი სოფიო კლიჩისა, რომ გამგეობამ მისცა ნება ტერნიკოლოსოვს შენობის აგებისა უწესოდ.

5) წინადადება ქალაქის მოადგილისა სამუდამო ტეხნიკურის და სასანიტარო კომისიების არჩევის შესახებ.

6) ამორჩევა საქალაქო მზრუნველთა.

7) ამორჩევა საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარისა და სარევიზიო კომისიის წევრისა.

8) მოხსენება გამგეობისა იმის შესახებ. რომ შემოღებულ იქმნეს გარდასახადი ველოსიპედზედ ქალაქის სასარგებლოდ.

9) მოხსენება გამგეობისა, რომ დაწესებულ იქმნას საავადმყოფო გარდასახადი და აშენდეს მუშათა სავადმყოფო.

10) მოხსენება გამგეობისა, თუ რა შემდეგი ჰქონდა ეპჰრობას ვერის ხიდის იჯარით გაცემისას.

11) წინადადება ბ-ნ ტფილისის გუბერნატორისა, რომ ქალაქმა იკისროს ჯამაგირი საზეითალო ფერშლისა.

12) დამატებული ხარჯთ-აღრიცხვა 1896 წლისა.

13) ამორჩევა ქალაქის გამგეობის მეოთხე წევრისა.

## პოლიციის მატიანე

25 ოქტომბერს, დილის 11 საათზედ, პოლიციის მე-7 ნაწილში, კახეთის ქუჩაზედ, მარტიროს ნუნუფაროვის მისავალში ჩამოიქცა კედელი, ცალპირად აშენებული და დაზიანა. იქვე მდგომი ფურგუნი. ადამიანი, არავინ დაშავებულა.

25 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზედ, იმავე განყოფილებაში, ნავთლუხს, დავრიშევის სახლში, ტფილისის მკვიდრი კოჟუხოვისა წაეხჩუბა თავისს საყვარელს, ტფილისის მცხოვრებელს თეოდორე კორჩაგონს და დანით ორს ალაგას დასჩრა— მარცხენა გვერდსა და მარცხენა იღლიის ქვეშ. დაჩრილი ტფილისის სამხედრო საავადმყოფოში იქმნა გაგზავნილი და ექიმებმა მისი ჭრილობა სასიკვდილოდ იცნეს. დამნაშავე კოჟუხოვისა-კი დაპატიმრებულ იქმნა და სამართალს გარდაეცა.

## კრება ექიმების საურთიერთო დამხმარებელ პეტერბურგის საზოგადოების ტფილისის განყოფილებისა.

ოთხშაბათს, 23 ოქტომბერს, კავკასიის სამკურნალო საზოგადოების სადგომში კრება იყო ექიმების საურთიერთო დამხმარებელ ს.—პეტერბურგის საზოგადოების ტფილისის განყოფილებისა. ეს განყოფილება დაარსებულია განსვენებულის ექიმის ვ. მ. კარპენკოს წინადადებითა და მეთაურობით. ამ ახლად დაარსებულს საზოგადოებას თავისი საკუთარი წესდება აქვს, რომლის მე-26 §-ში ნათქვამია, რომ საზოგადოება ირჩევსო საამხანაგო მოსამართლეებს, რომლებმაც უნდა გაარჩიონ ყოველივე დავა და საეჭვო საკითხი, თუ იჩინა თავი ასეთმა ამბავმა ამ საზოგადოების წევრთა შორის. ამავე მოსამართლეებმა უნდა განიხილონ ყოველივე უსიამოვნება ექიმებისა და სხვათა შორის ამტყდარი და ამიტომ არა-ექიმებსაც შეუძლიანთ მიჰმართონ ამ სასამართლოს თავისის საჩივრით და სამდურავით. თუ ეს საჩივარ-სამდურავი მართალი აღმოჩნდა და ექიმი ბრალდებულად იცნო, შეუძლიანთ იგი საზოგადოების წევრობისაგან გამორიცხონ.

კრებაზედ წევრთ აღძრეს რამდენიმე პრინციპიალური საკითხი ამ სამართლის შესახებ, ხოლო გადაწყვეტა მათი გადასდეს წლიურ კრებამდე. კრებას უნდა ამოერჩია სამი მოსამართლე და ორი მათი კანდიდატი, მაგრამ ვერც ეს საქმე დაამთავრა. კენჭის ყრით ამორჩეულ იქმნა მხოლოდ ექიმი ე. მაღალაშვილი, დანარჩენნი ორის კვირის შემდეგ იქმნებიან არჩეულნი.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ერთი სასაცილო ამბავი, რომელიც ამ კრებაზედ მოხდა. როდესაც არჩევანს შეუდგნენ, მაშინ გაახსენდათ, რომ ყუთები-კი იყო, მაგრამ კენჭები არა ჰქონდათ და ამიტომ თხილისთვის გაგზავნეს, მაგრამ მოტანილი თხილიც სხვილები გამოდგა და იძულებულ იქმნენ ახლა წვრილის თხილისთვის ეფრინათ კაცი. პირველ კენჭის ყრის შემდეგ, როცა მაღალაშვილი იქმნა ამორჩეული, ბევრნი ამ არჩევანს წინა აღუდგნენ და ხელ-მეორედ კენჭის ყრასა თხოულობდნენ... მაგრამ ამ სურვილის განხორციელება შეუძლებელ იქმნა, რადგან აღმოჩნდა, რომ პირველ კენჭის ყრის შემდეგ თხილი აღარ იყო, მხოლოდ მისი ნაჭუჭები-კი მრავლად ეყარა კრების დარბაზში.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

უებარი წამალი ჯიბლიბოსი: ამ ხუთიოდე წლის წინედ მე დამჩემდა ჯიბლიბო მარჯვენა თვალისა. ზემო ქუთუთოზედ რომ მომირჩებოდა, ქვემო ქუთუთოზედ ამომივიდოდა ხოლმე. დიდს უსიამოვნობაში ვიყავი, რადგანაც ცოტა ციებასაც მგვრიდა. მივმართე თვალის ექიმებს და ვთხოვე გაეგოთ, რა იყო მიზეზი ასეთი ხშირი ჯიბლიბოსი. ერთმა, უფრო დახელოვნებულმა, თვალის ექიმმა მითხრა, რომ უთუოდ სხეულის შინაგანი ხინჯი არის მიზეზიო. მეორემაც კვერი დაჰკრა. დავღონდი და დავძმარდი, რადგანაც შინაგანის ხინჯის მოშორება თავიდგან ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე გარეგანისა. ბოლოს შემთხვევით ერთს დოქტორს, სახელდობრ ბატონს როზენბაუმს, შევჩივლე ჩემი გაბეზრება ჯიბლიბოთი. მან მიპასუხა: „მე ძალიან მაკვირვებს ეგ ამბავი; ჯიბლიბო თვალზედ იმათ ამოსდით, ვინც პირისახეს საპნით ან სულ არ იბანს, ან ძალიან იშვიათად, და თქვენ კი საპონს ყოველ დღე უნდა ხმარობდეთ პირის ბანვაზედ.“

მე იმ წამსვე ნეკზე ვიკბინე, რადგანაც ამ სიტყვებმა მომაგონა, რომ სწორედ იმ დროიდგან დამჩემდა ჯიბლიბო, რაც საპნით პირის ბანვას გადავეჩვიე და გადავეჩვიე იმის გამო, რომ ერთს გაზეთში თუ ჟურნალში ამოვიკითხე, ვითომც საპნის ხმარება პირის კანს აფუჭებდეს.

ბ-ნი როზემბაუმის სიტყვების შემდეგ ხელმეორედ დავიწყე საპნით პირის ბანა ყოველ დღე და მასუკან აგერ სამი წელიწადი მეტია, რაც ჩემს ქუთუთოზედ ჯიბლიბო აღარ ამოსულა.

ახლა ვიკითხოთ: რად აქრობს ჯიბლიბოს საპნის ხმარება? თუ ცოტა ჩავუფიქრდებით საგანს, ადვილად მივხვდებით. ქუთუთოების კანი ნაოჭიანია და არა გაჭიმული, როგორც პირისახისა და შუბლისა. დღის განმავლობაში მთელს პირისახეზედ კაცს მტვერი ედება, ეკვრება. ამ მტვერს ადვილად აშორებს პირის სახეს წყალი, მაგრამ ქუთუთოების ნაოჭში კი ვერ უწევს და ვერ რეცხავს. ეს მტვერი რჩება ამ ნაოჭებში, იქცევა ჭუჭყად, ჩადის ღრმად კანში, აჩენს ანთებას, ქუთუთო კაცს უსივდება და ხდება ავად ჯიბლიბოთი. ხოლო როცა საპნით იბანთ პირსა, იგი კარგად რეცხავს ქუთუთოების ნაოჭებსაც, მთლად აცლის მტვერსა და ჭუჭყსა და სუფთად საღად ინახავს თვალსა.

ამიტომ ვისაც უნდა (და ვის არ უნდა!), რომ ჯიბლიბო არ ამოუვიდეს თვალზე, ყოველ დღეს პირისახე უნდა დაიბანოს საპნითა. ამაზე ადვილი რა არის.

ძველი მთაწმინდელი.

## თეატრის მატიანე

რუსული ოპერა უკვე შედგენილია და ნოემბრის პირველ რიცხვებში დაიწყებენ წარმოდგენების მართვას ახალს თეატრში; სხვათა შორის მომღერალ ქალ-არტისტებში არიან: პიცეგალი, ენკვისტი, მარშადი სუშკოვისა, სიუნბერგი და სვეტლოვა; ვაჟ-არტისტებში: პერესი, ლიუბინი, სერბინი, სუპინშტეინი, ჩებანოვი, ჯიაკომელი, მაკსაკოვი, ობრაზცოვი, ფრანკოვსკი, მოლჩანოვსკი, გორდი და გლაზუნოვსკი, რეჟისორი ივ. ფითოევი, უფროსი გამგებელი ვ. ფორკატი, დირიჟერი ტრუფი და პალიცინი, კასირი მირიმანოვი. უკვე შეუმზადებიათ შემდეგი ოპერები: ფაუსტი, დემონი, ევგენი ანეგინი, აფრიკის ქალი, რიგოლეტო, სამსონ და დალილა, ჯამბაზები, სოფლის პატიოსნები, გუგენოტი და და სხვა.

სათავად-აზნაურო თეატრში დანიშნულია ამ თვის 29 ნიკიტას კონცერტი. ამ ჟამად არტისტი ქალი იმყოფება ბაქოში, სადაც ორი კონცერტი მიუცია და დიდძალი ხალხი დასწრებია.

გამოჩენილი და ყველგან განთქმული არტისტი ქალი სარა ბერნარი ამ ჟამად თურმე ათავებს ახალ პიესის წერას, რომელსაც ჰქვიან „ეკატერინე დიდი“. ამ პიესის უმთავრესს როლს, ესე იგი ეკატერინას, ითამაშებს თვით სარა ბერნარი ამ ზამთარს ჯერ ბრიუსელში და მერე ამერიკის უმთავრესს ქალაქებში.

ჩვენის დასის ცნობილი არტისტი ქალი მ. მ. საფაროვი-აბაშიძისა ფილტვისანთებით ავად გამხდარა.

## გამოსადეგი ცნობა ოჯახობაში.

შპალიერის გაკვრა ისე, რომ მასში ბაღლინჯოები არ გაჩნდნენ.

ჩვეულებრივის სიდიდის ოთახისათვის, ასე ერთ-ნახევარ საჟენის სიმაღლით და ორისა სიგრძე-სიგანით, საჭიროა აიღოთ ერთი გირვანქა წებო, დაამტვრიოთ წვრილად, ორი საათი წყალში დაალბოთ, მერე ზედ უნდა დაასხათ ნახევარი ვედრა წყალი და 16 უნცი (გირვანქა ნახევარი) სკიპიდარი, ადუღოთ ცეცხლზე და თან ურიოთ, იმდენ ხანს, ვიდრე წებო და სკიპიდარი კარგა არ მოიხარშოს. ამ წამლით, სანამ-კი ცხელია, კარგა გასუფთავებულ ოთახის კედლები ორჯერ გალესეთ, და, როცა კედლები გაშრებიან, მაშინ ჩვეულებრივ გააკარით შპალიერი. ამ ნაირად გაკრულ კედლებზე აღარ გაჩნდებიან ბაღლინჯოები და, თუ კედლების დაწმედის დროს სადმე კუნჭულებში ჩარჩნენ, ისინიც დაიხოცებიან, რადგან სკიპიდარის სუნს ვერ აიტანენ.

1) ვაზის სამყნობლად ახალი სახსარი. საფრანგეთის სამეურნეო საზოგადოებაში ეხლა ხანს ჩამოაგდეს ბაასი ვაზის მყნობაზედ. სასარგებლოდ დაინახეს, რომ ამერიკის ვაზი და საფრანგეთისა ერთად შეახორცონ, ამყნონ. ყოველი მათგანი უნდა იყოს ხუთი გოჯის სიგრძე. ორთავე ვაზის სამყნობ რქას ბოლოებზედ მცირეოდენად ტყავს აცლიან, მერმე ერთმანერთს ბოლოებით აკრავენ და მიწაში ერთ გოჯზე ურჭობენ. პირველ წელიწადს ამერიკის რქას, რაწამს კვირტები გამოუვა და ფურცლას დაიწყებს, მაშინვე ამ კვირტებს აცლიან, რომ ორთავეს ძალა საფრანგეთის ვაზისაზედ გადავიდეს. მეორე წელიწადს ორთავე ვაზის რქა ბოლოში სრულიად დაიდუღებს ხოლმე და მაშინ ამერიკულ რქას შედუღებულ ადგილის ძირში სჭრიან.

2) თესლის შენახვა. თესლით გაშენებული მცენარე ფრიად მაგარი და საღი გამოდის. ხოლო ამ შემთხვევაში უმთავრესი მოთხოვნილება ის არის, რომ თესლი კარგად დამწიფებული ჰქონდეს. თესლი საზოგადოდ მწიფდება ზაფხულიდგან მოკიდებული შემოდგომამდე. ხოლო ზოგიერთი მცენარეებისა კი ორი წლის განმავლობაში. თესლს რომ შეაგროვებენ, კიდევ რამდენიმე ხანს ერთ გროვათ ჩრდილოში დაანარჩუნებენ, რომ უფრო კარგათ დამწიფდეს და გაშრეს. ყველაზე უკეთესია, რომ თესლი შიგ ჩენჩოებსა, ნაჭუჭსა და პარკებში დაანარჩუნონ და მერე საცეხვავით ან ხელით გაარჩევინონ.

თესლს ჰყრიან ტომრებსა და პარკებში, ანუ ხის კასრებში და ინახავენ მშრალს და ცივს ადგილას. თბილ ადგილს თესლი მალე ფუჩდება, მშრალსა და გრილში კი თუნდ სამ წელიწადს ინახება, წვრილ თესლს, თუ უნდათ დიდ ხანს შეინახონ, ბოთლებში ინახვენ, მსხვილს კი ზოჭკებსა და კასრებში, და შიგ ქვიშასაც ჰყრიან და ამ გვარად ინახვენ, მაგ., მუხის რკოს, კაკალს, წაბლს და სხვ. ზოგი-ერთი ხის თესლი დიდხანს სძლებს, მაგ., ლიბანის, ნაძვის და ალატის თესლი 30 წლამდე ინახება და მას შემდეგ რომ დაითესოს, ჰხარობს, ფიჭვისა სძლებს 5—6 წელიწადს, ნაძვისა 2 წელიწადს და სხ. ყველაზე მალე კაკლის თესლი ფუჩდება, წაბლისა, მუხისა და სხ. საზოგადოდ შემჩნეულია, რომ იმ ხის თესლი მალე და ჩქარა ფუჩდება, რომელიც სწრაფად და ადვილად ხარობს.

## ცნობა სასამართლოდან.

—

ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია გასარჩევათ შემდეგი საქმეები:

27 ოქტომბერს.

— თავადი ილია ხერხეულიძისა ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებაზედ, რომ მას სასამართლომ არ დაუმტკიცა მამული, კუთვნილი კნ. ნინო ციციშვილისა.—

— ალექსი და იასე ჩანკოტაძეთა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზე—საქმისა გამო თომა ფარცვაძესთან ფულების თაობაზედ.

— კესარია წულუკიძისა ტფილისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზე—ბასილ ცივცივაძის მამულის მემკვიდრეობის შესახებ.

— ოქროპირ ჰელიძისა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზე—ლევან გოცირიძესთან ფულის თაობაზედ.

31 ოქტომბერს.

ნინა თულაშვილისა ტფილისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზე—სიმონ ღვალიძესთან, მამულის თაობაზედ.

12 ნოემბერს.

სურნალის (ქუთაისის მაზრაში) მამულების გამიჯვნის დროს ატეხილი დავა განირჩევა 12-ს მომავალს გიორგობისთვეს.

## ვაჭრების საყურადღებოდ.

—

25 ნოემბერს ქუთაისის გიმნაზიაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იჯარის გასაცემათ. იჯარადარმა უნდა აძლიოს გიმნაზიას 1897 წელს სანოვაგე, ტანთ-საცმელი და სხვა და სხვა საქონელი. პირობათა შეტყობა შეიძლება ყოველ დღე გიმნაზიის კანცელარიაში, კვირა უქმეს გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

## საკალენდარო ცნობა

ოქტომბერი

26. შაბათ. წმ. დიდ. მოწ. დიმიტრისა. ღირ. ათანასესი.

27. კვირა წმ. მოწ. ნესტორისა, მარკოზისა, ღირ. ანდრიასი.

## ამიერ კავკასიის რკინის გზა.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი №1 გადის დილის 9 ს. 10 წ. მიდის ბათომში საღ. 9 ს. 45 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 10 ს. 50 წ. მიდის ბაქოში საღ. 4 ს. 49 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 9 ს. 40 წ., მოდის თბილისში საღამოს 9 ს. 55 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დღისით 2 ს. 30 წ. მოდის თბილისში საღამოს 8 ს, 21 წ.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 3 გადის საღამოს 6 ს. 50 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 15 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 11 ს. 5 წ. მოდის თბილისში 5 ს. 50 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის ღამის 11 ს. 20 წ., მოდის თბილისში შუადღის 12 ს. 25 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის ნაშუადღევის 1 ს. 10 წ; მიდის ბაქოში 7 ს. 30 წ. დილით.

## გემების მიმოსვლა შავ ზღვაზედ

სამგზავრო—პასაჟირო გემები

ბათომიდან 1) გემი სწრაფის რეისით გადის შაბათობით, შუადღის 12 საათზედ, შეივლის ნოვოროსიისკში, იალტაში და სევასტოპოლში.

ბათომიდან 2) პირველი ირგვლივის გზის გემი გადის შაბათობით, ღამის 2 საათ, შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან 3) მეორე ირგვლივის გზის გემი გადის სამშაბათობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 4) მესამე ირგვლივის გზის გემი—პარასკეობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან პირდაპირი გემი ხუთშაბათობით, შუადღის 12 საათზედ; შეივლის ნოვოროსიისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში და სევასტოპოლში.

საბარგო-სამგზავრო გემები.

ბათომიდან გადიან პარასკეობით, 8 ს. საღამოზე. შეივლიან ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან გადიან ოთხშაბათობით, ღამის 2 საათზედ, შეივლიან ფოთში, ნოვოროსიისკში და სევასტოპოლში.

ბათომში მოდიან გემები

ირგვლივის გზის გემები მოდიან ბათომში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით, საღამოთი.

პირდაპირი გზის გემები მოდიან ბათომში ოთხშაბათობით, დილით.

სწრაფი რეისის გემები მოდიან ბათომში პარასკეობით, ნაშუადღევს.

საბარგო-სამგზავრო გემები, პირდაპირი, სამშაბათობით, ნაშუაღამევს. ჩვეულებრივი—პარასკეობით, შუადღეს.

## ეტლების მიმოსვლა ტფილისსა და კავკავს შორის.

ტფილისიდან

ხუთ-ადგილიანი ეტლები გადიან: ერთი დილის 7 საათზედ, ღამეს ათევს მლეთში, მეორე 8 ს. დილით გადიან, ღამეს ათევს ფასანაურში. მოდიან კავკავში, პირველი საღამოს 6 ს. და მეორე 8 საათზედ.

ექვს-ადგილიანი ომნიბუსები გადიან: ერთი დილის 9 ს. და 20 წუთს და მეორე საღამოს 7 საათზედა; ღამეს არსად არა დგებიან; მიდიან კავკავში მეორე დღეს, პირველი 12 ს. შუადღეს და მეორე 8 ს. 50 წუთს საღამოს.

კავკავიდან.

ხუთ-ადგილიანი ეტლები გადიან: ერთი დილის 7 საათზედ, ღამეს ათევს მლეთში და მეორე დილის 9 საათზედ, ღამეს ათევს გუდაურში. მოდიან ტფილისს, პირველი საღამოს 6 ს. და მეორე 7 საათზედ.

ექვს-ადგილიანი ომნიბუსები გამოდიან: პირველი დილის 10 საათზედ და მეორე საღამოს 7 საათზედ, ღამეს არსად არ ათევენ. მოდიან ტფილისს მეორე დღეს, პირველი დილის 11 საათზედ და მეორე საღამოს 8 საათზედ.

ფასი მიმოსვლისა

ერთი ადგილი შიგ ეტლში სასლიდ წითხ ხარჯიანათ—19 მ. 60 კ. ეტლის კაბრიოლეტში—13 მ. 20 კ. ხოლო კოფაზე 5 მ. 40 კ.

შენიშვნა. ეტლების და ომნიბუსების მიმოსვლა ტფილისსა და კავკავს შორის ისეა მოწყობილი, რომ როგორც ტფილისს, აგრეთვე კავკავს დროზედ უსწრობენ რკინის გზის მიმოსვლას ტფილისში თუ კავკავში.

# განცხადებანი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში

მოიკითხეთ შემდეგი წიგნები,

შედგენილი და ანუ გამოცემული

მ. ჯანაშვილის—მიერ.

ა) შოთა რუსთაველი, . . ფ. 40 კ.
ბ) ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი . . . „ 40 კ.
გ) მ. ხონჲლი და მისი ამირან-დარეჯანიანი. . . . „ 10 კ.
დ) ისტორია მართმადიდებელ ეკკლესიისა . . . . „ 40 კ.
ე) გეოგრაფია ქართლისა (შედგ. ვახუშტის მიერ). „ 25 კ.
ვ) სამცხოსა (მისივე) . . . „ 25 კ.
ზ) ათასერთი ღამე (თარგმანი) „ 40 კ.
ჱ) მწერლობა მეათე საუკუნისა „ 40 კ.
თ) საუნჯე მეათე საუკუნისა „ 20 კ.
ი) საქართველოს ისტორია „ 70 კ.
ია) ალვადგინე . . . . . . . „ 30 კ.

(4—ს)

დაიბეჭდა და ისყიდება ქართულ წიგნის მაღაზიებში ი. იმედაშვილის და ს. ჰელიძის გამოცემანი:

№ 1

## ლექსები და პოემები

ი. გგდოშვილისა.

ფასი 25 კ.

№ 2 „ნატვრა," ლეგენდა შ. მღვიმელისა.

ფასი 2 კ.

წიგნების უმთავრესი საწყობი: გიორგიევის ქუჩა, არჯევანიძის სახლში, № 14, ამხ. ს. ჰელიძის და ი. იმედაშვილის წიგნის მაღაზიაში.

## ნომრები „ბაქო"

(ელისაბედის ქუჩა, ჩითახოვის სახლში, № 25. ავჭალის ცხენის რკინის გზის მახლობლად, მეცხრე პოლიციის განყოფილების შენობაში).

ნომრები კარგად მოწყობილია და საოცრად იაფი.

ე. კვაჰაძე.

(4—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25-го Октября, 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. სიგ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია